

საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული
აკადემია



მემორანდუმი
თანამშრომლობის
შესახებ

საქართველოს
დავით აღმაშენებლის
სახელობის
უნივერსიტეტი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის სახით, და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის პროფესორ თეიმურაზ ქორიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში რაციონალური ინტეგრირების, უმაღლესი განათლების ფარგლებში სასწავლო პროცესისა და კვლევითი საქმიანობის კოოპერირების მიზანშეწონილობით, ვითვალისწინებთ რა ახალგაზრდა თაობის სწავლებაში მეცნიერების ფასდაუდებელ ღვაწლს და სამეცნიერო ინფორმაციის ოპერატიულად ურთიერთგაცვლის მნიშვნელობას, ვადასტურებთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი ითანამშრომლებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების ურთიერთხელშეწყობისთვის შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- ახლებურად გააზრებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი გარემოს ფორმირება;
- რელევანტური ხასიათის სამეცნიერო ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;
- ერთობლივი კვლევითი, საგანმანათლებლო, საგრანტო პროექტების შემუშავება და განხორციელება;
- მეცნიერული კვლევებისადმი სტუდენტების ინტერესის გაღვივება;
- სასწავლო პროცესში აკადემიის წევრების მოწვევა; მათ მიერ „მასტერ-კლასების“ ჩატარება;
- დოქტორანტების საორიენტაციო კვლევების თემატიკის შეთანხმება აქტუალური სამეცნიერო პრობლემატიკის სფეროში;

- „სდასუ-TV“ და „სდასუ-RADIO“-ს მეშვეობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის გაშუქება, აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ღვაწლის პოპულარიზაცია;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო განყოფილებების რესურსის გამოყენება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებში.
- აკადემიის წევრთა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა ურთიერთმონაწილეობა აკადემიაში და უნივერსიტეტში დაგეგმილ სხვადასხვა შეხვედრებში.

მხარეების ურთიერთშეთანხმებით მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ მის შეწყვეტამდე.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი



გ. კვესიტაძე



საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი



თ. ქორიძე



5 აპრილი, 2017 წელი

ქ. თბილისი